საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2495/01
17/03/2021

2495-01-2-202103171228

შპს „სმარტს“
მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მას.,II კვ., კორ. 6ა, ბ. 64
ელ.ფოსტა: smartigroup@2011gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 4 მარტის N 3861 განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოს მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს შპს „გ.რ. მოტორსის“ მიერ, 2020 წლის 26 აგვისტოს, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი N 13552 განცხადების ტექსტს. მათ შორის, ზემოაღნიშნული განცხადების მე-3, მე-5, პუნქტებს ნაწილობრივ, ხოლო განცხადების მე-11, მე-14, მე-17 პუნქტებს და მე-18 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ზ“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“ ქვეპუნქტებს სრულად. ხოლო „ე“, „ვ“, ქვეპუნქტებს ნაწილობრივ. აღნიშნული პუნქტები მოიცავს საპროექტო ტერიტორიის აღწერას, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებასა და საწარმოო პროცესში გამოყენებულ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან დაკავშირებული გაანგარიშებების ცხრილში მოცემული მონაცემები არ შეესაბამება დოკუმენტის მე-2 პუნქტში მოცემულ ცხრილში, საქმიანობის მასშტაბებთან დაკავშირებით წარმოდგენილ მონაცემებს. შესაბამისად, აღნიშნული გაანგარიშებები არასწორია და საჭიროებს შესაბამის კორექტირებას.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საქმიანობა დაგეგმილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 55.12.66.69, ხოლო N1-1 და N1-2 დანართებით წარმოდგენილ გენ-გეგმებზე მითითებულია საკადასტრო კოდი 55.12.66.000.069. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები საჭიროებს შესწორებასა და შესაბამისობაში მოყვანას;

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული არ არის მანძილი საპროექტო ობიექტსა და უახლოეს მოსახლეს შორის;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირების საკითხები; აგრეთვე, სკრინინგის განცხადების მე-2 პუნქტში მოცემულ ცხრილში აღნიშნულია, რომ საწარმოში გამოშვებული პროდუქცია იქნება ქვიშა-ღორღი, ხოლო მე-7 პუნქტის თანახმად, იგეგმება ქვიშა-ხრეშის წარმოება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წარმოებული პროდუქციის სახეები;
- წარმოდგენილი განცხადების მე-18 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ „საპროექტო ტექნოლოგიური ხაზი იდგმება ლიცენზირებულ ფართობზე, რომელზეც მიმდინარეობს ქვიშა-ხრეშის მოპოვება (2006 წლიდან) და გადამუშავება (2015 წლიდან) წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის შესაბამისად. ლიცენზიის მოქმედების ვადა 20 წელია. (2026 წლამდე).“ ... „**შპს „გ.რ.მოტორის“** მიერ ინერტული მასალების გადამამუშავებელი განახლებული ინფრასტრუქტურის მოწყობისას და ფუნქციონირებისას ლანდშაფტზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.“ აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი შეიკრიბება საწარმოო მოედანზე მოწყობილი შემკრები ღარებით და მიეწოდება სამსექციან ჰორიზონტალურ სალექარებს“. დაზუსტებას საჭიროებს რამდენი სალექარის მოწყობა იგეგმება საპროექტო ტერიტორიაზე. ამასთან, სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილ გენ-გეგმებზე საპროექტო სალექარები დატანილი არ არის;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო მიზნით გამოყენებული წყლის მოცულობა და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობასა და მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო–საყოფაცხოვრებო წყლების მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში, მე-18 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხთან მიმართებით აღნიშნულია, რომ „მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა სამრეწველო ობიექტები არ არსებობს, რის გამოც ასეთი ზემოქმედების საფრთხე არ არსებობს.“ (გვ. 12) თუმცა, დოკუმენტის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საპროექტო ტექნოლოგიური ხაზი იდგმება ლიცენზირებულ ფართობზე, რომელზეც მიმდინარეობს ქვიშა-ხრეშის მოპოვება(2006 წლიდან) და გადამუშავება (2015 წლიდან) წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის შესაბამისად“ (გვ. 9). აღნიშნული საკითხები ურთიერთგამომრიცხავია და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „სველი მეთოდით 800000 ტ ინერტული მასალის დამუშავებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება „$G_{მტვ}$ =500000 *0,009/103 =4,5 ტ/წელი“ (გვ.7). აღნიშნული მონაცემები არ შეესაბამება განცხადების მე-2 პუნქტში მოცემულ ცხრილში წარმოდგენილ მონაცემებს და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე